ხელშეკრულება № 51

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ.ქუთაისი 03.05.2017წ.

ერთის მხრივ, ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება" (შემდგომში "შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის კობა ბიბილეიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი" (შემდგომში „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის თემურ კოხოძის მინდობილი პირის, ქუთაისის ფილიალის დირექტორის სანდრო ნერგაძის (მინდობილობა №0033 გაცემული 04.01.2017წ) სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ვადასტურებთ, რომ არ ვიმყოფებით ერთმანეთთან ინტერესთა კონფლიქტში, ,,საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი''-ს 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის თ) ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 იანვრის №26 დადგენილების პირობების შესაბამისად, ვდებთ გამარტივებული შესყიდვის სახის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1. " ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი- შემსყიდველს.

1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" _ ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. "დღე", კვირა", "თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4."შემსყიდველი" _ ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. "მიმწოდებელი" _ პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას, ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. "მომსახურება" _ ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1.ხელშეკრულების საგანი __ ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს დაქვემდებარებაში არსებულ ესკავატორ - დამტვირთველზე (JCB – 3CX სა.ნომ. HZ- 939)

1.საწვავის ხელის ტუმბოს კომპლექტის შეცვლა - 1 (ერთი) ერთეული

2.2 CPV კოდი__50112000 - მანქანების შეკეთება ტექნიკური მომსახურება

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს - 500(ხუთასი) ლარს

კერძოდ:

1.საწვავის ხელის ტუმბოს კომპლექტი- 1 (ერთი) X 450 ლარი = 450 ლარი

2. .საწვავის ხელის ტუმბოს კომპლექტის შეცვლა- 50 ლარი

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის საფუძველზე.

4.3 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორება განხორციელდება შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10(ათი) დღის ვადაში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მიწოდებული მომსახურება შემსყიდველის მიერ ჩაითვლება მიღებულადსაგადასახადო დოკუმენტაციის შემსყიდველის მხრიდან წარდგენის შემდეგ,რომელშიც მითითებული უნდა იყოს გაწეული მომსახურების ღირებულება.

5.2. მომსახურების სრულად გაწევის დასრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს შესაბამის საგადასახადო დოკუმენტაციას.

6. საქონლის მოწოდების ადგილი და ვადა

6.1. მომსახურების გაწევა მოხდება მისამართზე: ქუთაისი,ნიკეას მე-9 ჩიხი №2ა

6.2. მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მოთხოვნიდან 2(ორი) სამუშაო დღის ვადაში.

6.3. მომსახურების გაწევა მომწოდებლის მიერ უნდა განხორციელდეს დამკვეთის მოთხოვნის და საჭიროების შესაბამისად.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურება უზრუნველყოს სათანადო ხარისხით, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი მომსახურების პარამეტრების დაცვით და სრული მოცულობით, იმ ვადაში რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.2 და 6.3 პუნქტებში

ბ) იმ შემთხვევაში თუ შეცვლილი სათადარიგო ნაწილი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხრას აღმოჩენილი ხარვეზი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება"-ს შესყიდვების კოორდინატორი.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, გაწეული მომსახურების ხარისხის კონტროლს.

8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებულებელი ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 %-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზრაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5(ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 10.4. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დაუძლეველი ძალა

11.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით.

აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლება მოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1.ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 07 ივნისი.

14. მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი":	"მიმწოდებელი":
ააიპ ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის	შ.პ.ს. ,,თეგეტა მოტორსი"
კომუნალური გაერთიანება"	ქ.თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი
ქ. სამტრედია რესპუბლიკის ქ.№6	მე-12 კმ №5
ს/კ 438 724 212	ს/კ 202177205
ბანკი: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	სს,,თიბისი ბანკი"-ის ცენტრალური ფილიალი
	GE80TB0600000024467853
კობა ბიბილეიშვილი	სანდრო ნერგაძე
დირექტორი	ქუთაისის ფილიალის დირექტორი